

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ.ვანი თავისუფლების N65

9 დეკემბერი 2020 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, თამთა დვალისძე, გელა ვარდოსანიძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, შოთა გიორგაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: კობა ძაგნიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, მალხაზ ცერცვაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

დღის წესრიგი

1., ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თობაზე“.

მომხს: ივანე მამფორია

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებზე.

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ნოემბრის N2776 განკარგულებით, ცვლილებები განხორციელდა 2020 წლის 19 აგვისტოს N1570 განკარგულებაში „ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის თაობაზე, რის საფუძველზეც ვანის მუნიციპალიტეტს ფინანსური დახმარების სახით გამოეყო 1000,0 ათასი ლარი.

2020 წლის ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი ფინანსთა სამინისტროს მიერ შემცირდა 937,0 ათასი ლარით, 6700,2 ათასი ლარიდან 5763,2 ათას ლარამდე. ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილების პროექტის მიხედვით, სპეციალური ტრანსფერის მუხლი გაიზარდება 1000,0 ათასი ლარით, დამატებული ღირებულების გადასახადი შემცირდება 937,0 ათასი ლარით, ხოლო 63,0 ათასი ლარით შემცირდება ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი. 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხები მცირდება 70,3 ათასი ლარით, 891,2 ათასი ლარიდან 820,9 ათას ლარამდე, სამუშაოების დასრულების შემდგომ ხელშეკრულებებში წარმოშობილი ეკონომიის თანხით.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

წარმოდგენილი საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე